ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის

გურამ ოქროპირიძის

ანგარიში

(01.11.2024-01.11.2025წწ)

შინაარსი

შესავალი 2

საკრებულოს სხდომებში, კომისიებში და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა 2

საკრებულოს სხდომები 2

განათლების და კულტურის კომისია 3

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" 5

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა 5

კომისიის სხდომები 6

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური 9

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია 13

კომისიის ინიციატივები 13

ღონისძიებები და შეხვედრები 16

განხილული კორესპონდენცია 19

დამატებითი ინფორმაცია 20

კომისიის სამდივნო 20

საზოგადოებასთან ურთიერთობა 20

შესავალი

დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გურამ ოქროპირიძის მიერ 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 1 ნოემბრამდე გაწეულ სამუშაოს ანგარიშს.

კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №164 განკარგულების შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრი

განათლების და კულტურის კომისიის წევრი (2024 წლის 20 მარტის ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით).

ფრაქციის წევრი

2021 წლის 3 დეკემბრიდან ფრაქცია **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს** წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებში და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა

საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს **21** და საკრებულოს **17** სხდომა გაიმართა. შედეგად მიღებულია **891** გადაწყვეტილება, მათ შორის **111** დადგენილება და **780** განკარგულება.

გურამ ოქროპირიძე ბიუროს **16** და საკრებულოს **17** სხდომას დაესწრო.

საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება;

- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს **2 353 788,4** ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა **1 983 178,0** ათასი ლარით).

განათლების და კულტურის კომისია

გურამ ოქროპირიძის წევრობის პერიოდში (01.11.2024-01.11.2025) კომისიამ ჩაატარა **14** სხდომა, განხილულია **26 საკითხი, აქედან 9 დადგენილების და 2 განკარგულების პროექტი, 9** მემორიალური დაფის განთავსებისა და **2** სკოლის სახელდების საკითხი, აგრეთვე **4** სუბიექტის გაწეული საქმიანობის ანგარიში.
გურამ ოქროპირიძე მონაწილეობდა კომისიის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში.

ქალაქ თბილისის 2025 წლის ბიუჯეტით განათლების და კულტურის მიმართულების პროგრამები დაფინანსდა 382 755,1 ათასი ლარით, მათ შორის განათლება-**357 258,9** ათასი ლარი და კულტურა-**25 496,2** ათასი ლარი.

კულტურა

- **კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის** ფარგლებში დაფინანსდა **2** სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაული, **25** თეატრალური პროექტი, **130** ფესტივალი, კონკურსი, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიება.**"შემოქმედებითი თბილისი"-ს** პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **31 ღონისძიება;**
- **"ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის"** პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდისათვის, განხორციელდა **80-ზე** მეტი პროექტი. დაფინანსდა: **660** ბენეფიციარი, მათ შორის, **219** ბიჭი და **441** გოგო;

კულტურის ობიექტების განვითარება

- **ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარების** პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია **13** ღონისძიება;
- **დასრულდა** მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მარო მაყაშვილის სახელობის N3 ბიბლიოთეკის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები; „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების" იაკობ გოგებაშვილის სახელობის 21-ე ბიბლიოთეკის ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა; 6 ივნისიდან სრულად რეაბილიტირებული სივრცე ემსახურება მომხმარებელს;
- მუშაობა განაახლა თბილისის მეხუთე მედიათეკამ (თემქის მედიათეკა). ამავე სივრცეში გაიხსნა „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის";

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის „ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლა“ სარემონტო სამუშაოები განხორციელდა;
- **ხელოვნების სკოლებში, გიმნაზიაში და კოლეჯში,** განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის, მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა **15 ობიექტზე;**
- **ტენდერი გამოცხადებულია** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპე-ბის „ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახ. N25 ხელოვნების სკოლა“ და „ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახ. N27-ე ხელოვნების სკოლა“ სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად;
- **მიმდინარეობს** ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის - მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის **ინვენტარით აღჭურვა,** საექსპოზიციო სივრცეებისა გეგმის მომზადება. მუზეუმი მიმდინარე წელს გაიხსნა.

განათლება

- **“პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობის”** ფარგლებში წარმატებით ხორციელდება პროექტი **„ისწავლე და დასაქმდი“, პროგრამის** ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში (გაზაფხული-შემოდგომა) დაფინანსდა - თბილისში რეგისტრირებული სამსახურის მაძიებელი **1 050** მოქალაქე, რომლებმაც **70** პროფესიულ სპეციალობაში გადამზადების კურსი გაიარა. დაინტერესებული მოქალაქეები რეგისტრაციას გადიან პლატფორმაზე **www.dasakmdi.ge**. **10 000-მდე** მოქალაქე უკვე გადამზადდა, ხოლო მათი დასაქმების მაჩვენებელი, დაახლოებით, 75% ;

- **“ზოგადი განათლების და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობის” პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია პროექტები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“**-ს პროექტი **„ფ.ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესის ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდის საერთაშორისო რაუნდებში მონაწილეობა“**. ფილიპ ჯესაპის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს იმიტირებულ სასამართლო შეჯიბრს სამართლის სტუდენტებისთვის, რომელშიც მონაწილეობს 100-ზე მეტი ქვეყნის **700-ზე** მეტი სამართლის სკოლის წარმომადგენელი. პროექტში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის **6-მა** სტუდენტმა. დაფინანსდა **ა(ა)იპ „დემოკრატიის ახალგაზრდული აკადემია“** პროექტის **„სტუდენტური დებატები 2025“,** რომლის ფარგლებშიც ჩატარდა დებატების ტურნირი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შორის;

- **“სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის” ფარგლებში** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა **1403 სოციალურად დაუცველი სტუდენტი,** მათ შორის 876 ქალი, 527 კაცი; მრავალშვილიანი ოჯახის წევრი **675 სტუდენტი,** მათ შორის 408 ქალი, 267 კაცი; ასევე, **შშმ 46 სტუდენტი**, მათ შორის 30 ქალი, 16 კაცი. სულ საანგარიშო პერიოდში **დაფინანსდა 2124 სტუდენტის** სწავლის ღირებულება. წარმატებული სტუდენტების ფინანსური

წახალისების მიზნით, მიმდინარე პერიოდში ფინანსური წახალისება ჩაერიცხა **410 სტუდენტს,** მათ შორის 299 გოგოს, 111 კაცს;

- **"ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"** დაფინანსებულია **2 719, 4** ათასი ლარით. ეროვნულ სასახლეში დარეგისტრირებულია **2 920** ბენეფიციარი. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია **300-მდე ღონისძიება**. 2025 წლის 22 სექტემბერს სრულად რეაბილიტირებული სასახლე ოფიციალურად გაიხსნა;
- **დედაქალაქის მასშტაბით 190-მდე** საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო სერვისებით სარგებლობს **62 000**-მდე აღსაზრდელი.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია **,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს''** ჩატარებული აქვს **17 სხდომა,** განხილულია **30 საკითხი.**

გურამ ოქროპირიძე მონაწილეობდა ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ-სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდას, სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.

კომისიის საქმიანობას ასევე განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგი;
- მოქალაქეების მიღება და მათთვის კონსულტაციის გაწევა;
- დედაქალაქში არსებული და მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგი;

- სამინისტროებთან, კომიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, რაიონულ გამგეობებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფედერაციებთან და სხვა პირებთან რეგულარული კომუნიკაცია და დარგობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრები, მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების დადგენისა და ინიციატივების მოსმენის მიზნით;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება, დასკვნების და ოქმების მომზადება;
- გამგეობებისა და საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა;
- დარგობრივი ტენდერების მონიტორინგი;
- კომისიაში შემოსულ კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირება;
- კომისიის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა;
- დელეგაციების წევრობა და პროექტებში მონაწილეობა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სპორტული და ახალგაზრდული იურიდიული პირების მონახულება და მათი საქმიანობის გაცნობა;
- საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა კალენდარული ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება;
- საზღვარგარეთის ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობა: გურამი ოქროპირიძე (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ოთარ გრიგოლია** (კომისიის წევრი), **შოთა გრიგოლია** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

კომისიის სხდომები

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში გამართა 13 სხდომა და განიხილა **21** საკითხი, მათ შორის: **8** განკარგულებისა და **11** დადგენილების პროექტი, ასევე მოისმინა **2** ანგარიში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია **18** სამართლებრივი დასკვნა და კომისიის სხდომის **13** ოქმი.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა შემდეგი საკითხები:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის **„სპორტი უფროსი თაობისთვის"** (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, **60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების**

წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2024 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში **ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი“;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 **დადგენილებაში ცვლილებების** შეტანის შესახებ”;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 **დადგენილებაში ცვლილებების** შეტანის შესახებ”;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2024 წლის ბიუჯეტის შესრულების** წლიური ანგარიშის შესახებ“;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა** და **შპს „კორტებს“** (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
- „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“** (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 **დადგენილებაში ცვლილებების** შეტანის შესახებ”;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის **„სპორტი უფროსი თაობისთვის“** (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების ან/და ფიტნესდარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 **დადგენილებაში ცვლილებების** შეტანის შესახებ”;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 **დადგენილებაში ცვლილებების შეტანის** შესახებ”;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა** და **ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“** (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის

25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

- ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“** (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
- „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“** (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აპრილის №25.617.691 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა** და **შპს „კორტებს“** (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო **სამსახურის სამომავლო გეგმების** და **მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების,** სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე **კახა აბულაძის დანიშვნაზე** თანხმობის მიცემის შესახებ“.
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ”;

და სხვა.

კომისიის სხდომების ფარგლებში:

- მოისმინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა **საქალაქო სამსახურის** მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, **ანგარიში** (საანგარიშო პერიოდი, 2025 წლის I-ლი და II-ე კვარტალი);

კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება ყველა მოქალაქეს აქვს.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

ქალაქ თბილისის 2025 წლის ბიუჯეტით სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამები დაფინანსებულია 44 568,3 ათასი ლარით, მათ შორის, სპორტის განვითარების ხელშეწყობა - **37 896,2** ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებები - **6 672,1** ათასი ლარი.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა:

- **საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა** თბილისის **33** სპორტული ფედერაცია და საქართველოს **24** სპორტული ფედერაცია. სულ დაფინანსდა **189** პროექტი, რომლებშიც **მონაწილეობა მიიღო 53 837** ბენეფიციარმა (მ.შ **37 642** კაცმა, **16 195** ქალმა);
- თბილისში, მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, **განხორციელდა 20 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, რომლითაც ისარგებლებს 8 088** ბენეფიციარი (მ.შ. **6 563** კაცი, **1 525** ქალი).
- 2025 წელს დაჯილდოვდა 2024 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 1 თბილისელი სპორტსმენი (კაცი). ასევე, 2024 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 185 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 153 კაცი, 32 ქალი) და საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის - თბილისის 5 ქალთა გუნდი (მ.შ. 91 ქალი, 16 კაცი) და 1 ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი (11 კაცი).
- **მწვრთნელთა მხარდაჭერის ფარგლებში** ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის, თვეში **350 მწვრთნელ** - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის **48** სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს;
- ქვეპროგრამით **„სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია“** დაფინანსდა: ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ: 01.17.14.003.239) ა(ა)იპის „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“ და ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური ცენტრის მიმდებარე ტერიტორიებზე **სპორტული მოედნების სამშენებლო სამუშაოები;**
- **წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება** - სპორტის **31** სახეობაში 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული **252-მდე წარმატებული სპორტსმენი მოზარდი** წახალისდა;
- **პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა** - საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული იყო **283 შშმ პირი და 20 მწვრთნელი.** 2025 წლის დასაწყისიდან **საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიღებული აქვს 9 პარასპორტსმენს (მ.შ 5 ქალი, 4 კაცი). ცენტრში ვითარდება 14 პარასპორტული სახეობა;**

- გრძელდება პროგრამა, **„სპორტი უფროსი თაობისთვის"** სადაც მუნიციპალურ სპორტულ ობიექტებთან ერთად კერძო სექტორიც არის ჩართული (არენა). ამ ეტაპზე პროგრამით **816-მდე** ბენეფიციარი სარგებლობს.
- გრძელდება ფიზიკური დატვირთვების სკრინინგის პროგრამა;

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის ფარგლებში:

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა:

- ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე სპორტული კომპლექსის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლება კორპუსი N9-ის მიმდებარედ სპორტული დარბაზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:

- ა(ა)იპ "მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი"-ს დიდი დიღმისა და ვარკეთილის ფილიალების შენობების მცირე სარემონტო სამუშაოები;
- ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის გლდანის სპორტული კომპლექსის შიდა სარემონტო სამუშაოები;
- ა(ა)იპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი"-ს სტრუქტურული ერთეულის მედეა ჯუღელის N1-ში მდებარე ტანვარჯიშის სპორტული ცენტრის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები.

გამოცხადდა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება:

- ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე სპორტული კომპლექსის სპორტული ინვენტარით აღჭურვაზე.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა:

- დედაქალაქის მასშტაბით სკეიდ-პარკების, პადელის და მინი-ფეხბურთის მოედნების მოწყობის სამუშაოები ექვს მისამართზე (სამგორის, ისნის და ნაძალადევის რაიონებში).

ახალგაზრდული მიმართულებით დაფინანსებული პროექტები:

- საანგარიშო პერიოდში, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის **მიზნით ყოველწლიურად ტარდება საინტერესო მასშტაბურ საზაფხულო ღონისძიებები ახალგაზრდებისთვის.** 2025

პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა სპორტული აქტივობები ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ტირით სროლაში, ბილიარდსა და კარტინგში, აგრეთვე ლაშქრობები თბილისის გარშემო. 2025 წელს, ტრადიციულ აქტივობებთან ერთად განხორციელდა პროგრამირების ბანაკი, სადაც ახალგაზრდებმა შეისწავლეს WORD PRESS პროგრამირების ენით საიტის შექმნა და მართვა, ინგლისური ენის ბანაკი, კიბერ სპორტის ბანაკი, ბანაკი ხელოვნური ინტელექტის თემატიკაზე, ბანაკი სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდა ინოვატორთა ბანაკი, ახალგაზრდა მოხალისეთა ბანაკი, თეატრალური და კინოხელოვნების ბანაკები, გაცვლითი ბანაკები და ახალგაზრდა სპორტსმენების შეკრებები. პროგრამის მონაწილეთათვის უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტირება, კვება, ეკიპირება და კვალიფიციური ინსტრუქტორების მომსახურება. **2025 წლის საზაფხულო ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობდა 6000-ზე მეტი ახალგაზრდა;**

- **ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“** მოსწავლეთა აღზრდისა და დამატებითი განათლების მულტიფუნქციური დაწესებულებაა. იგი ახორციელებს სოციალურ და კულტურულ–საგანმანათლებლო პროგრამებს. თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი აერთიანებს **9** ფილიალს, რომლის **42** დასახელების წრესა და სტუდიაში ირიცხება **2000**-მდე მოსწავლე;
- **„ზაფხულის STEAM ბანაკი“; „ახალგაზრდების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში“** პროექტის ფარგლებში მოეწყო გასვლითი სამუშაო შეხვედრა დედაქალაქის მასშტაბით მოქმედი უნივერსიტეტების სტუდენტების და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობით. **„სურამში მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვების დასვენება“** პროექტი განხორციელდა. **„ციფრული საზაფხულო ბანაკი“** პროექტის ფარგლებში ბორჯომში ოთხდღიანი (2025 წლის 16 ივნისიდან-20 ივნისამდე) ტექნოლოგიური ბანაკი მოეწყო**; განხორციელდა** „AI წიგნიერების ბანაკი 2.0“ სილიკონ ველი თბილისისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო ინიციატივით; **„ზაფხულის კინობანაკი“** პროექტის თბილისის მაცხოვრებელი 15-17 წლის ახალგაზრდებისთვის, კულტურის და განათლების ფონდის მიერ, ბაკურიანში „ზაფხულის კინობანაკი” ჩატარდა; **„თანასწორთა განათლება საზოგადოების ჯანმრთელობისთვის“** პროექტის ფარგლებში მონაწილეობა 70-მა ბენეფიციარმა მიიღო; პროექტი **„ლიდერობა და პროფორიენტაცია“ პროექტის** მიზანი იყო ქ. თბილისის 25 საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდებში პროფესიული განათლებისადმი ინტერესის და ლიდერული უნარების განვითარება. **„WEX International Camp“** ბანაკი, პროექტმა ხელი შეუწყო ბენეფიციარების კომუნიკაციურ სწავლებას და ხელს ენის სწრაფად ათვისებას. „**Leadership in English Camp“** იყო საგანმანათლებლო საზაფხულო ინგლისურენოვანი ბანაკი; ასევე განხორციელდა : **„საზაფხულო ბანაკი 2025“; „თბილისის გარშემო 2025“; „გარისობა 2025“**; **„ახალგაზრდების განვითარება კიბერ უსაფრთხოებასა და ციფრულ სივრცეში”; „ახალგაზრდული განათლებისა და კულტურული ჩართულობის ხელშეწყობა თბილისში“; „ქართულ-კორეული მეორე საერთაშორისო გაცვლითი გამოფენა“; „ქ.თბილისის გიორგი ცაბაძის N4-ში საფეხბურთო**

სკოლა იმედის ფასადის კედლების მოხატვა; „აღმოაჩინე შენი გზა“ ; „Global Tech Weekend Tbilisi 2025: Shapin the New Era“ და სხვა.

თბილისის მერია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისთვის აფინანსებს შემდეგ პროგრამებს:

- პროგრამის **„სოციალურად დაუცველი და სხვა კატეგორიის მოსახლეობის სერვისების (დახმარების)“** ფარგლებში გაერთიანებულია **1740 ბენეფიციარი.** ასევე, პროგრამის **„თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება (წახალისება)“**- ფარგლებში საგნობრივი მიმართულების წრეებში - **130 მოსწავლე,** დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებს **32 სახელოვნებო სკოლა. თვეში საშუალოდ 2 575 სოციალურად დაუცველი მოსწავლე სრულიად უფასოდ სწავლობს;**
- პროგრამის **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“** ფარგლებში 18 წლამდე ასაკის **1 760** ბავშვს სწავლების ღირებულება უფინანსდება ცურვის, ტანვარჯიშის, და ფეხბურთის სახეობებში.

ახალგაზრდული და სპორტული ცენტრები და პროგრამები:

- ელექტრონული პლატფორმა **youthtbilisi.ge-ზე საანგარიშო** პერიოდის განმავლობაში საიტზე დარეგისტრირდა **23** ორგანიზაცია და **2927**-ზე მეტი მოხალისე, რომელიც ჩაერთო საიტზე განთავსებულ **67** პროექტში;
- **ევროპის ახალგაზრდული ბარათი** (**EYCA**) - ბარათის პროგრამის განვითარებისათვის მოხდა ელექტრონული პლატფორმების, ვებ-საიტისა და მობილური აპლიკაციის დეველოპმენტის დასრულება. პლატფორმა **Eurodesk.ge** ამჟამად მუშაობს სატესტო რეჟიმში.
- **ევროდესკი** - **„თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი“** ახორციელებს ევროდესკის პროგრამის იმპლემენტაციას საქართველოში, ქართველი ახალგაზრდებისთვის ევროპული შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში, პროექტის **„მერიასთან ერთად,"** ფარგლებში მოხდა, როგორც ცენტრის მიერ ორგანიზებული, ასევე ქ. თბილისში მოქმედი სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გამართული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლა **2700**-მდე ბენეფიციარმა.

  და სხვა.

საანგარიშო პერიოდში რაიონული გამგეობების მიერ კეთილმოწყობის ღონისძიებების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში განხორციელდა **37** სპორტული

მოედნის შეკეთება/რეაბილიტაცია და **13** ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა. ასევე, **6** გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მონტაჟი.

კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში რაიონებში სულ მოეწყო **50** ღონისძიება, აქედან სპორტული - **18**, კულტურულ/საგანმანათლებლო - 32.

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის **30** სხდომა. სულ სპორტის, ახალგაზრდობის და განათლების მიმართულებით განხილულია **417** პროექტი, აქედან **313** სპორტული, საგანმანათლებლო **65** და ახალგაზრდული **39**. ღონისძიებებში მონაწილეობა **მიიღო 44 984-ზე მეტმა ბენეფიციარმა, განხორციელებულ პროექტებზე კი 8, 244 914 ათასი ლარი დაიხარჯა.**

გურამ ოქროპირიძე მონაწილეობდა კომისიის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში.

კომისიის ინიციატივები

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი

2025 წელს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის და თბილისის საკრებულოს თანამშრომლობით, **ბათუმში „ახალგაზრდული რეგიონული ფორუმი 2025"** გაიმართა. ფორუმი სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი Youth Regional Center -ს მხარდაჭერით „ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა" დევიზით განხორციელდა.

ახალგაზრდულ რეგიონულ ფორუმზე განიხილეს შემდეგი საკითხები: ახალგაზრდული პოლიტიკა და რეგიონული გამოწვევები; არაფორმალური განათლების მნიშვნელობა ახალგაზრდულ სფეროში; თვითმმართველი ორგანოებისა და ორგანიზაციების გამოცდილება ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისას.

ფორუმის მიზანია მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა. 2025 წელს ახალგაზრდული ფორუმი დაფუძნებიდან **მეხუთედ გაიმართა.**

სასკოლო ლიგა 2024-2025

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, თბილისის მერიის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, საქართველოს ბანკის, სხვა სპორტული ფედერაციების მხარდაჭერითა და ა(ა)იპ სპორტის მართვის ასოციაციის

ორგანიზებით, ,,სასკოლო ლიგა 2024-2025'', სპორტის **15** სახეობაში გაიმართა, სადაც თბილისის და საქართველოს რეგიონების **500 სკოლის 20 000-ზე მეტი მოსწავლე** ჩაერთო.

პროექტის მიზანია, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს თბილისში სპორტული **ცენტრის, „ტფილისი" - სასკოლო ლიგის, ახალი ცენტრალური ბაზა გაიხსნა.** პროექტის ფარგლებში მოეწყო UEFA-ს სტანდარტების შესაბამისი ორი სპორტული მოედანი, 300 კაცზე გათვალისწინებული ტრიბუნით და ყველა საჭირო სივრცით. ობიექტზე ფუნქციონირებს საფეხბურთო აკადემია „ტფილისი".

2026 წლის გაზაფხულისთვის სპორტულ ცენტრში გაიხსნება ფარიკაობის კლუბი და მოეწყობა სპორტული პნევმატური იარაღის სასროლეთი. სამომავლოდ გაიხსნება ასევე, სარაგბო, ფარიკაობის და სპორტული სროლის სასწავლო აკადემიები. გაიმართება სხვადასხვა სახის თემატური ტურნირები, მასობრივი სპორტული აქტივობები და ახალგაზრდული ფესტივალები.

კამპანია ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში''

საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გურამ ოქროპირიძემ, კამპანიის „სტუდენტები თბილისის საკრებულოში" ფარგლებში **ა(ა)იპის „საქართველოს სტუდენტური პარლამენტი და მთავრობა"** წევრ სტუდენტებს უმასპინძლა, ასევე **,,სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან"** საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე განიხილეს დედაქალაქში უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი მუნიციპალური პროექტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ჯანდაცვის პროგრამებსა და სატრანსპორტო რეფორმას. აღსანიშნავია, რომ კამპანია **,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში'' პერმანენტულად იმართება კომისიის მიერ.**

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში **8 სპორტული** და **ახალგაზრდული** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომლებიც აერთიანებს **20 სტრუქტურულ** ერთეულს, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მათი საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია პერიოდულად ახორციელებდა.

გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტების მუშაობის პროცესს, სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ინვენტარით აღჭურვასა და სხვა აქტივობებს ეცნობოდა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ასევე მოინახულა: სამგორის რაიონში, დიდი ლილოს სპორტული ცენტრი, ვარკეთილის მრავალფუნქციური ცენტრი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ადგილზე გაეცნო მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებს. გარდა ამისა კომისია ხშირად სტუმრობს სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ობიექტებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში/ ფორუმებში/ ასამბლეებში მონაწილეობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მონაწილეობდა სხვადასხვა ფორუმსა, თუ ასამბლეაში და ასევე, მასპინძლობდა მათ დელეგაციებს.

გურამ ოქროპირიძე უნგრეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის ,,ფიდელიტასი" დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა

თბილისის საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე უნგრეთის მმართველი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ,,ფიდელიტასი" დელეგაციის წარმომადგენლებს უმასპინძლა. 16-19 ივნისს თბილისში უნგრეთის მმართველი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ,,ფიდელიტასი'' დელეგაციის ვიზიტი ,,ქართული ოცნების'' ახალგაზრდული ორგანიზაციის მოწვევით გაიმართა. აღნიშნული ვიზიტის მიზანი პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გამყარება და სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერება გახლდათ.

გურამ ოქროპირიძემ საკრებულოში ესპანეთიდან ახალგაზრდული გაცვლითი პროექტის ფარგლებში მოწვეულ სტუდენტებს უმასპინძლა

საქართველოს, ესპანეთისა და პორტუგალიის მონაწილეობით ახალგაზრდული გაცვლითი პროექტის ფარგლებში საქართველოს ესპანეთის და პორტუგალიის ხუთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მრჩევლები და სტუდენტები ესტუმრნენ. პროექტის ორგანიზატორი გახლდათ „Carmen" ესპანური ენისა და კულტურის ცენტრი. პროექტის მიზანი არაფორმალური სასწავლო აქტივობების განხორციელება, სადაც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ სხვა კულტურებს და გაეზიარებინათ გამოცდილება. სამუშაო მეთოდები დაფუძნებული იყო არაფორმალურ განათლებაზე, რაც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევდა შემოქმედებითად გამოეხატათ საკუთარი თავი.

ღონისძიებები და შეხვედრები

გურამ ოქროპირიძე მუდმივად ესწრებოდა საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ცერემონიებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის მსგავსი ტიპის 40-მდე შეხვედრას დაესწრო, მათ შორის:

- თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ანგარიში;
- 2024 წლის „საუკეთესო მოხალისეების“ დაჯილდოება;
- წარმატებული თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოება;
- თბილისის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის 60 წლის იუბილესადმი
- მიძღვნილი ღონისძიება;
- მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის მონაწილე მწვრთნელ-მასწავლებლებთან
- შეხვედრა;
- თბილისის კალათბურთის სასკოლო ლიგის ფინალი;
- თბილისის ფარიკაობის სასკოლო ლიგა;
- სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები
- დასრულდა;
- თბილისის ფრენბურთის სასკოლო ლიგის ფინალი;
- მერიასა და „საქპატენტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
- გაფორმდა;
- თბილისობა 2025;
- კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის
- პრეზენტაცია;
- რეაბილიტირებული მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე;
- ვარკეთილის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა.
- და სხვა.

განხილული კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განიხილა და მოამზადა **795 მასალა/კორესპონდენცია** და პროექტი. მათ შორის არის კომისიაში შემოსული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი **636 მასალა** და იურიდიული პირებისა და მოქალაქეებისგან **65 წერილი/განცხადება.**

ხოლო, კომისიის მიერ მომზადებული, გარე და შიდა უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს **94-ს.**

დამატებითი ინფორმაცია

კომისიის სამდივნო

კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების, წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება კომისიის **https:www.facebook.com/SportsYouthComTbilisi** გვერდზე და მის მართვას უზრუნველყოფს სამდივნო. ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაზე განთავსებას.

საანგარიშო პერიოდში საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა საკითხი გაშუქდა:

- **2024 წლის 19 ნოემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელეს;
- **2024 წლის 22 ნოემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე 2024 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს;
- **2024 წლის 20 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელეს;
- **2024 წლის 24 დეკემბერი**: საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე - წელს, ისევე როგორც უკანასკნელი წლების განმავლობაში, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ბევრი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა;
- **2025 წლის 27 იანვარი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - 2024 წლის „საუკეთესო მოხალისეების“ დაჯილდოება გაიმართა;
- **2025 წლის 28 იანვარი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე: პროგრამაში ჩართულ მწვრთნელთა ხელფასების 20%-იანი მატება გაზრდის მწვრთნელების დაინტერესებას და მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ;
- **2025 წლის 28 იანვარი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 4 თებერვალი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში თბილისის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა;
- **2025 წლის 18 თებერვალი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები- მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის მონაწილე მწვრთნელ-მასწავლებლებთან შეხვედრა გაიმართა;

- **2025 წლის 28 თებერვალი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 21 მარტი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 28 მარტი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ოლიმპიურ სასახლეში ,,თბილისის კალათბურთის სასკოლო ლიგის'' ფინალი გაიმართა;
- **2025 წლის 8 აპრილი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე სამგორის რაიონში ახლად აშენებულ სპორტულ კომპლექსს ესტუმრა;
- **2025 წლის 8 აპრილი:** - პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - "თბილისის ფრენბურთის სასკოლო ლიგის'' ფინალი გაიმართა;
- **2025 წლის 15 აპრილი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 2 მაისი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე მერიასა და „საქპატენტს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ცერემონიალს დაესწრო;
- **2025 წლის 20 მაისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - თბილისის საკრებულოში ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 18 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე უნგრეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის ,,ფიდელიტასი" დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა;
- **2025 წლის 19 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 7 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში „საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის" წევრებთან შეხვედრა გაიმართა;
- **2025 წლის 9 ივლისი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში ესპანეთიდან ახალგაზრდული გაცვლითი პროექტის ფარგლებში მოწვეულ სტუდენტებს უმასპინძლეს;
- **2025 წლის 25 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 19 აგვისტო:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 22 სექტემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია დასრულდა;
- **2025 წლის 23 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2025 წლის 26 სექტემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები თბილისში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა;

- **2025 წლის 2 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - თბილისში სასკოლო ლიგის ახალი ცენტრალური ბაზა გაიხსნა;
- **2025 წლის 9 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში ექვსი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.